ვინც განიბანს ისე, როგორც მე განვიბანე, და შემდეგ ორ რაქათს შეასრულებს ისე, რომ არაფერზე იფიქრებს ამ დროს, მას მისი წინა ცოდვები მიეტევება

ჰუმრანმა, 'უსმან იბნ 'აფფანის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გათავისუფლებულმა მონამ თქვა, რომ იხილა, როგორ ბრძანა ერთ დღეს 'უსმანმა წყლის მოტანა განბანვისთვის. როცა წყალი მოიტანეს, მან სამჯერ დაისხა წყალი ხელებზე და სამჯერ დაიბანა ხელის მტევნები. შემდეგ ჩაუშვა მარჯვენა ხელი წყლის ჭურჭელში, აიღო წყალი და გამოივლო პირი და ცხვირი. ამის შემდეგ სამჯერ დაიბანა სახე და ხელები იდაყვებამდე, შემდეგ სველი ხელებით მოიწმინდა თავი და სამჯერ დაიბანა ფეხები. შემდეგ თქვა: მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც განიბანს ისე, როგორც მე განვიბანე, და შემდეგ ორ რაქათს შეასრულებს ისე, რომ არაფერზე იფიქრებს ამ დროს, მას მისი წინა ცოდვები მიეტევება».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

'უსმანმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ასწავლა აბდესის შესრულების წესი, რომელსაც მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ასრულებდა. მან ეს პრაქტიკულად აჩვენა, რათა სწავლება რაც შეიძლება გასაგები ყოფილიყო. მან მოითხოვა მოეტანათ წყალი ჭურჭლით. შემდეგ სამჯერ დაიბანა ხელები, შემდეგ მარჯვენა ხელით აიღო წყალი ჭურჭლიდან, გამოივლო პირი, წყალი ღრმად შეისუნთქა ცხვირით და გამოაქცია, ამის შემდეგ სამჯერ დაიბანა სახე, სამჯერ დაიბანა ხელები იდაყვებამდე, სველი ხელით ერთხელ მოიწმინდა თავი და ბოლოს სამჯერ დაიბანა ფეხები კოჭების ჩათვლით. როდესაც 'უსმანი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) მის შესრულებას მორჩა, აუწყა მათ, რომ მან მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იხილა თუ როგორ ასრულებდა აბდესს. მან გაახარა ისინი იმით, რომ ვინც ასეთ განბანვას შეასრულებს და შემდეგ 2 რაქათს ილოცებს, გულმოდგინედ, თავმდაბლობით და გულწრფელად თავისი ღმერთის, დიდებული და ძლევამოსილი ალლაჰის წინაშე, ალლაჰი მას ამ სრული აბდესისთვის და გულწრფელი ლოცვისთვის აპატიებს მის წარსულ ცოდვებს.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/3313